ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №367442

ნომერი: AR179356

თარიღი : 10.09.2012

გაცემის თარიღი : 27.09.2012

გაცნობის თარიღი : 27.09.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხ/დ (თემქა) მე-11 მ/რ; მე-2 კვარტალი, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა N11.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ზანდარაშვილი პ/ნ 01030004510
- თბილისი რეხის III ქ. N 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ღია ავტოსადგომისა და 1.75 მ. სიმაღლის მავთულის ღობის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ხ/დ (თემქა) მე-11 მ/რ, მე-2 კვარტალი, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა #11, ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელები) ფილიალი საქართველოში კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #001/048), ღია ავტოსადგომისა და 1.75 მ. სიმაღლის მავთულის ღობის მოწყობას, პასუხად გაცნობებთ, რომ "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882012102551 17.04.12წ. საკადასტრო კოდი #01.12.04.001.048; ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელები) ფილიალი საქართველოში დირექტორის რწმუნებულება; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ხ/დ (თემქა) მე-11 მ/რ, მე-2 კვარტალი, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა #11, ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელები) ფილიალი საქართველოში კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #001/048), ღია ავტოსადგომისა და 1.75 მ. სიმაღლის მავთულის ღობის მოწყობის შესაძლებლობას.

საპროექტო ღობე განთავსდეს ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელები) ფილიალი საქართველოში კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.